სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პ-რის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363.

გაზეთი „ცნობის ფურცელი"
წლის დამლევამდე
ღირს 2 მანათი



ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას
კურსი 15 მანათი
საწყალ მოწაფეთ უფასოდ
აგრეთვე ვიღებ სურათებს დაკლებულ ფასად; ვადიდებ პატარა სურათს დიდ სურათად, ვბეჭდავ გახსნილ წერილებზე სურათებს (открытое письмо) და სხვა ფოტოგრაფიულ ხელობას ვასრულებ სუფთად და მალე.
ადრესი: მეორე ივრაჟსკის ქუჩა (მთაწმინდაში) სახლი № 14,
ელისბარ ჯაჯანაშვილი
(6—3)

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ

ახლად გამართული რესტორანი
„იუჟნი ნომერა"
ტფილისი, ბარონის ქუჩაზე
ყოველთვის იშოვება მშვენივრად დ გემოიანად გაკეთებული
სადილ-ვახშამი და საუზმე
ხარაგი ყოველთვის ახალი და სუფთაა
რესტორანთან არის მრავალი კაბინეთები და ოთახები
იქვე მშვენიერს ბაღში აუზია ცოცხალის თევზებით
ფასი ყველაფრისა იაფია
(30 - 30) პატივისცემით ილია აბრამიშვილი

Ресторанъ «Южные номера» обѣдъ и ужинъ, дешевизна

შპალერების საწყობი
ი. გ. მელიქიშვილისა
ტფილისი, სასახლის ქ. სათავ.-აზნ. სახლი № 102
ყოველთვის იშოვება მრავალი ხარისხის შპალერი
ფასია ყველაფერზე იაფია
შპალერი თვითო ნაჭერი 8 კაპ. მოყოლებული 20 მანათამდე
ოთახ-დარბაზების მოსართავი და გასწყობი სამკაულები.

Депо обоевъ
І. Г. МЕЛИКОВА
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинскаго Дворянства (бывш. Арцруни) № 102, около муз. магаз. ЛАНКО. (100 61)

მორთული ოთახები
ნიკოლოზის მოედანი, ენფიანჯიანცის სახლი, ვორონცოვის ძეგლის ახლო ქირავდება მშვენივრად მორთული და მოწყობილი დიდრონი და სინათლიანი ოთახები. იქვე სადილ-ვახშამი.
Меблированные комнаты
(бывш. «Саксонія»)
Съ мебелю и состоломъ. Удобства, чистота, опрятность, предупредительность, вежливость и оккуратность
(3 - 3)
Съ почт. Феодосія Гульва.

Готовлю
въ землемѣрное и техническое училище, въ учит. институтъ и на вольноопредѣляющагося.
Подъ Давидомъ, 2-я Овражская, № 2.
Грязновъ. (4 — 3)

სტუდენტად ყოფილი
ეძებს გაკვეთილებს
ადრესი: „ცნ. ფურცლის" რედაქცია. (10 – 8)

გამოვიდა და ისყიდება
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება ღირსისა
ალექსის ღვთის კაცისა
(სურათით)
მეორედ გამოცემული
მორჩილის რ. ბარამიძის მიერ
ფასი ერთი შაური (10—3)

დოქტორი მედიცინისა დ ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
ს მკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11-საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. გ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში. არის კაბინეტია საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. გ. თოფურია.
Лѣчебница С. В. Топурія въ Кутаисѣ.

# ახალი ამბავი

*** ეგზარხოსის დაბრუნება. მისი მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლობიანე დაბრუნდება ბაქოდან ტფილისს ორშაბათს, 12 ოქტომბერს.

*** გ. ყაზბეგ ... ჭალადიდელის (ქობაქაძის) ნაწერების გამო. ჩვენს ნიჭიერს მგოსანს, გ. ჭალადიდელს, სხვათა შორის, დარჩენია დაუბეჭდავი ერთი დაუმთავრებელი პოემა ჩვენის ცხოვრებიდან. მისი უკვე დაბეჭდილი ლექსები, გაბნეული ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, უკვე იკრიბება ერთად და ამ მოკლე ხანში დაიბეჭდება კიდეც.

*** სამრევლო სკოლები. მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ტფი-

ლისის გუბერნიაში გაიხსნა 19 ახალი სამრევლო სკოლა:

*** აზნ. დავ. გაბაშვილის მოკვლის საქმე. ქ. ტფილისის 1-ლ განყოფილების სამოსამართლო გამომძიებელმა ბ. კარსოვმა უკვე დაამთავრა აზნ. დავ. გაბაშვილის მოკვლის საქმის გამოძიება და გუშინ, 8 ოქტომბერს, ეს საქმე გადაეცა პროკურორს.

*** ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძის საქმე. 7 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატამ განაჩენი დაადგინა ნ. ე. ზუბალაშვილის საქმის შესახებ, რომელიც განხილულ იქმნა 30 სექტემბერს, ქალაქის ვექილის ნაფ. ვექ. ი. ს. ტერ-სტეფანთვისა, ი. ე. ზუბალაშვილის და რომის კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის ძმობის მზრუნველობის ვექილის ნაფ. ვექ. პ. კალანთაროვისა და სახაზინო პალატის რწმუნებულის სააპელაციო საჩივრის გამო. სამოსამართლო პალატამ დაადგინა: ჩვენება ჩამოერთვას ნ. ე. ზუბალაშვილის ანდერძზე ხელმომწერელთ ბ. ი. ფ. თხორჟევსკისა და მ. ი. თამამშევს.

*** ახალი წიგნი. რედაქციამ მიიღო ახლად გამოსული წიგნი უილიამ შექსპირის ხუთ მოქმედებიანი ტრაგედია „ანტონიოს და კლეოპატრა“, თავ. ივანე მაჩაბლის მიერ ნათარგმნი ინგლისურიდგან. წიგნი სუფთათ არის დასტამბული, შეიცავს 121 გვერდს და ღირს 30 კაპ. ეს ტრაგედია ამას წინად ჟურნალ „მოამბეში“-აც იბეჭდებოდა.

*** საბალოსნო სკოლის საქმე. 7 ოქტომბერს მოხდა ტფილისის საბალოსნო სკოლის საქმეთა გამგე კომისიის სხდომა, რომელმაც დაადგინა გაუმჯობესებულ იქმნეს ამ სკოლის საქმე, როგორც ნივთიერად, ისე სწავლის მხრით. ამის გამო კომისიამ მიანდო სკოლის მზრუნველს ტიმოფეევს და კომისიის წევრს ბ. ფიგუროვსკის წარუდგინონ შემდეგს სხდომას დაწვრილებითი მოხსენება სკოლის საქმის შესაძლებელ გაუმჯობესების შესახებ.

*** უცაბედი მკვლელობა. ქ. გორში, გორელ ვაჭრის ნოქარი სიკო კეგხუაშვილი ზაზუოვის მაღაზიის ქვეშ რევოლვერს შინჯავდა, რომელიც ეკუთვნოდა სოფ ბალოვანის მცხოვრებს სტეფანე ფილიშვილს, ამ დროს გავარდა რევორველი და მოჰკლა ფილიშვილი, რომელსაც ტყვია პირდაპირ წუცელში მოხვდა.

*** საბალოსნო გამოფენა. კავკასიის მეორე საბალოსნო გამოფენაზე ტფილისის საბალოსნო სკოლა ყოველ დღე უჩვენებს საზოგადოებას ნაყოფების გახმობის წეს-რიგს.

*** ქალაქის ტეხნიკოსის მოწვევა სიღნაღში. სიღნაღის ქალაქის რწმუნებულთა მორიგი კრება განიხილავს, სხვათა შორის, ტფილისის გუბერნატორის წინადადებას ქალაქის ხარჯით შენობების ზედამხედველად ტეხნიკოსის მოწვევის შესახებ.

*** ჭაობების დაშრობა ბათომის გარშემო. სამხედრო უწყებას, როგორც ისმის, უკვე შეუმუშავებია პროექტი ქ. ბათომის გარშემო ჭაობების დაშრობის შესახებ.

*** ყაჩაღებისაგან გლეხების გაძარცვა. 24 სექტემბერს, ნაშუადღევის 2 საათზე, ბორჩალოს მაზრაში ჯელალ ოღლიდან 11 ვერსის მანძილზე, სოფ. დვანში, სამი ადგილობრივი მცხოვრები, რომლებიც ცხენით მიდიოდნენ ერევნისაკენ, გაჩერდნენ გზაში დასანაყრებლად. მოულოდნელად მათ თავს დაესხა ოთხი ყაჩაღი, რომლებმაც დაუმიზნეს მათ თოფები და დაუყვირეს: „არ დაიძრათ ადგილიდანაო“. ოთხ ყაჩაღიდან გლეხებმა იცვნეს ალაი-ბეგი და ასლან-აღა, რომლებიც მეთაურობას უწევდნენ სხვებს. გლეხები ჩაიყვანეს ხრამში და წაართვეს 400 მანეთამდე ფული და სხვა და სხვა ნივთები: სამი უნაგირი, ცხენის თოფრები და ნაბდები. როცა ერთ გლეხს ჩოხას ხდიდნენ, მან სთხოვა მათ, ჩოხას მაინც ნუ წამართმევთო, მაგრამ ალაიმ მიუგო: ჩვენ ხელსაც არ გახლებდით თქვენ, როგორც ძველ ნაცნობებს, მაგრამ, რადგან ამ დღეებში ჩვენ ცხენები და მთელი ქონება-საბადებელი წაგვართვეს, ამის გამო ჩვენ აღარც ტანთ-საცმელი გაგვაჩნია და აღარც საჭმელიო. ჩვენ ყორანს შევფიცეთ, რომ ვინც უნდა შეგვხვდეს, ცოცხალი არ გაუშვათ. წადი მთავრობასთან და თხოვე მოგცეს ჩვენი ნივთები ჩვენგან წართმეულ ნივთების სამაგიეროდაო. („ტფ. ფ“).

*** ვერის ღამის სათევი თავშესაფარი. მუშაობა ვერის ღამის თავშესაფარზე უკვე დამთავრდა. თავშესაფარის შენობა სავსებით შეაკეთეს და ლამაზად მოაწყვეს. თავშესაფარი ბ. პოლიცმეისტრის განკარგულებით გაღებულია მსურველთათვის.

*** ქალაქის მეორე უფასო სამკურნალო. კავკასიის მთავარმართებელს, როგორც ისმის ნებადაურთავს დაარსებულ იქნეს ქალაქის მეორე უფასო სამკურნალო კუკიაში, რომელიც ყველასათვის ხელ-მოსაწვდომი იქნება.

*** ყვავილის აცრა ქალაქში. ქალაქის სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორმა, ექიმმა გ. ნ. სტეფანოვმა ქალაქის გამგეობას წარუდგინა სამკურნალო-სასანიტარო საბჭოს დადგენილება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელთა ხმარებასაც საბჭო საჭიროდ სთვლის ქალაქში ყვავილის გავრცელების წინააღმდეგ საბრძოლველად. საბჭო იმ აზრისაა, რომ ყვავილი შეიძლება საშინელ მოარულად გარდაიქცეს, რადგან შუა სექტემბრიდან ყოველდღე ჰმატულობს და ძლიერდებაო. ამიტომ აწ მყოფ ექიმებისა და ფერშლების დასახმარებლად უნდა დაქირავებულ იქმნას კიდევ ორი ფერშალი ორ-ორის თვით; შემდეგ დასი უნდა იქმნას შედგენილი, ამ დასმა მოიაროს სახლები და აღნიშნოს ისინი, რომელთაც ყვავილი არა აქვთ აცრილი, ამათაც აუცრას და იმათაც, რომელთაც ამ ათის წლის წინათ აუცრიათ: ყვავილივე აუცრას ქალაქის 12 სასწავლებლისა, სახელოსნო სასწავლებლისა და საპროფესიონალო სახელოსნო მოსწავლეებს: ამას გარდა, დაევალოს ქალაქის გამგეობის ექიმებს, რომ მეტად აღევნონ თვალ-ყური ქარხნებსა, სახელოსნოებსა და სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათ; გაზეთებში გამოცხადდეს, რომ მსურველთ ყვავილი უსასყიდლოდ ექნებათ აცრილი ქალაქის სამკურნალო ყველა განყოფილებაში (მთავარ-სამკურნალოსა, ხარფუხისა და ავლაბრის განყოფილებაში) და აგრეთვე ბეითალ მელქუმოვთან. დაიბეჭდოს ცალკე ფურცლები და ხალხს ეუწყოს, რომ ყვავილის გაძლიერების გამო ყოვლად საჭიროა აცრა და სიცივეში აცრა მაწყინარი სრულიად არ არის.

ეს დადგენილება ქალაქის გამგეობამ გუშინ წინ განიხილა და დაადგინა, რომ არ იქმნას შეწყნარებული დადგენილება ორის ფერშლის მოწვევის შესახებ, მიეწეროს ქალაქის ექიმებს, რომ მხნედ იმოქმედონ აცრის საქმეში, გამოაცხადონ, სად და რა პირობით აეცრება ხალხს ყვავილი, ხოლო ხელ-მეორედ ყვავილი კი ისე აეცრათ ყველას. როგორც სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორი სთვლის საჭირო. გამგეობამ ერთის ხმის უმეტესობით შეიწყნარა ეს დადგენილება. გამგეობის ორი წევრი თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი და ა. ა. ივანენკო იმ აზრისა იყვნენ, რომ სულ უნდა მივიღოთ სასანიტარო საბჭოს წინადადებაო, ხოლო გამგ. წევრმა ე. ე. ხოსროევმა განაცხადა, რომ გაზეთებში გამოქვეყნება საჭირო არ არის. („ივ.“)

*** ახალი წიგნი. ჩვენ მივიღეთ დეკან. დ. ღამბაშიძის მიერ გამოცემული წიგნი სახელად „საქართველოს ძველი დროის თავ-გადასავალი“. ამ წიგნის შესახებ აი რა სწერია სხვათა შორის თვით წიგნის გამომცემლისაგან.

„ეს წიგნი, რომელიც პირველად იბეჭდება, არსებობს ხელთნაწერად. ეს ხელთნაწერი ეკუთვნის იოანე ბატონიშვილისეულ წიგნთსაცავს. ეს ფრიად მდიდარი წიგნთსაცავი, რომელიც ბატონიშვილს იოანეს წაუღია თან რუსეთში გაწვევის დროს. მისმა შვილიშვილმა ივანემ მიჰყიდა პეტერბურღის საჯარო წიგნთსაცავს. ამგვარად ეს ძვირფასი განძი ქართული წიგნობრობის მეტად დაშორებულია ქართველის მიერ ხილვასა და გარდაკითხვას. ამიტომაც საჭიროება ამისთანა შორეული მასალის გამოცემის უფრო და უფრო თვალსაჩინო და საშურია. სწორედ ამ მიზნითაა: რომ ვაწვდით ჩვენ მკითხველ საზოგადოებას ამ ერთ-ერთ საგულისხმო წიგნს.

ეს დაბეჭდილი წიგნი წარმოადგენს ხელთნაწერი დედანის მეორე ნახევარს. პირველ ნახევარში, რომლის დაბეჭდვა სამერმისოდ გვაქვს განზრახული, არის გალექსილი მთელი ძველი აღთქმა. ამბავი იწყება ქვეყნის გაჩენიდგან და როდესაც დავით მეფეს და სოლომონამდე მოდის მოთხრობა, შემდეგ საქართველოს დაარსებაზე არის მოთხრობილი სხვადასხვა ცნობები, სწორედ ისე, როგორც ჩვენ ძველ მატიანეში „ქართლის-ცხოვრებაში“ არის აღწერილი. საერთოდ ამ წიგნის შინაარსი მთლად „ქართლის ცხოვრების“ მონათხრობ[illegible]ასხმული, ოღონდ ცვლილება ის არის, რომ ეს მოთხრობა შემოკლებულია ლექსის მოთხოვნილებისამებრ და ისეა შემშვენებული. სამწუხაროდ დამწერ-გამლექსავის არც ვინაობა ვიცით და არც ხანა არსებობისა. ხელთნაწერს არა ვითარი სათაური ცალკე თავები სათაურს გარდა და არც არავითარი მინაწერი არა აქვს.

თუმცა მოკლედ და არა სრულად არის აქ მოთხრობილი ჩვენი ძველი დროის თავგადასავალი, მაგრამ ამის ცოდნაც ცოტაოდენი შემატება იქნება იმ უუმცირეს ცნობასთან შედარებით, რომელიც აქვს ყოველ ქართველს თავისი ქვეყნის შესახებ. და თუ ამ სასურველ საფეხურს მიაღწია ამ სიგნმა, მაშინ დამწერის ღვაწლიც ღირსეულად დაფასებული გამოვა შთამომავლობისაგან და ამის წაკითხვით აღძრული ცნობის მოყვარეობაც ადვილად მოიძებნის ჩვენ დაბეჭდილ მწერლობაში სხვა მასალას, რომ აქ შეწყვეტილი განაგრძნოს და ჩვენი ქვეყნის თავგადასავლის გაგრძელებაც შეიგნოს.“

წიგნი შეიცავს 240 გვერდს და შედარებით ძრიელ იაფად ღირს— 40 კაპ.

*** **სოხუმი.** მოსავლის განსხევრება. მთელი წლევანდელი ზაფხული თითქმის გამუდმებული გვალვა იყო და როგორც სიმინდს, აგრეთვე სხვა მოსავალსაც დიდი ზიანი მისცა. ხოლო ენკენისთვემ უარესი დღე დაგვაყენა. როდესაც საჭირო იყო სითბო და მზიანი დარები მოსავლის დასამწიფებლად, სწორედ იმ დროს საშინელი წვიმები დაიწყო, განსაკუთრებით ენკენისთვის დამლევში. მთელი ერთი კვირა ნახევარია, რაც დღე და ღამე სწვიმს, ძალზედაც აცივდა და ახლო-მახლო მთებიც ჩამოსთოვა. წყლებიც ისე ადიდდა, რომ დილიჟანებისა და ეტლების მიმოსვლას თქვენ დაეთხოვეთ, ფეხით მიმავალთათვისაც გზა შეიკრა სოხუმსა და კოდორს შუა, რადგან მდინ. კილასურზე დიდ წყლიანობის გამო ხიდიც წაღებულია. ამასაც არ დაგვაჯერა ბუნებამ და 29 ენკენისთვეს, ნაშუაღამევის 1-ლ საათზე, თხილის ოდენა სეტყვა მოვიდა, მოსავალი, განსაკუთრებით ყურძნისა, სულ დარეგვა.

თუ ოქტომბერმა ამნაირად გასტანა, საშიშია მოსავალი მთლად დაგვეკარგოს, რადგანაც მისი აღება მუშა კაცისათვის შეუძლებელი იქნება.

— ღელვა ზღვაზე. 1-ლ ოქტომბერს ზღვა საშინლად აღელდა და ძალიან დააზარალა მოიჯარადრე ნავთ-სადგურისა, რომელიც ბულვარის პირდაპირ კეთდება. მთელი ხის მასალა და ხარაჩოები წაიღო, რკინის ურო ბოძის დასასობი თავის ასაწევ მანქანითი დაანგრია და არც ერთი მათგანი არ მოიძებნება—ვინ იცის ზოგი სად მიჰყარა და ზოგი სად.

როგორც ამბობენ, ზარალი 1000 მან. აღემატებაო.

გიორგი ბარკალაია

*** **დ. გუდაუთი.** ჩვენს დაბაში ჩამოვიდა ამ დღეებში ვიღაც ახალგაზდა კაცი, რომელმაც თან ჩამოიყვანა რამდენიმე ნამუსზე ხელ-აღებული ქალი და დააბინავა ერთ აქაურ საუკეთესო ქუჩაზე. მათ მოსვლის შემდეგ დიდი უსიამოვნება მოგვადგა მთელ ამ ქუჩის მცხოვრებთ: ზნე-დაცემულ ქალებს აუარებელი მუშტრები გაუჩნდნენ, რომლებს შორის ხშირად ხდება ჩხუბი, ხანჯლის ტრიალი და ერთი აურ-ზაური. ურიგო არ იქნება ამ ამბავს ყურადღებას მიაქცევდეს, ვისიც ჯერ არს.

— ამინდები. 27 სექტემბრიდან განუწყვეტლივ სწვიმს, რომელმაც დიდი ზარალი მისცა ხალხს.

მახლობელი

*** **ს. ცაიში** (სამეგრელო). სწავლა-განათლების საქმე. პატივცემული დეკანოზი მ. მ. მეუნარგია სულით და გულით მონდომებულია გადააკეთოს ამ საზოგადოების ერთ-კლასიანი სამინისტრო სკოლა ორ კლასიანად. მან ამ საგანზე ორ-სამჯერ კიდეც მოიწოდა ხალხის ყრილობა, რომელსაც გამოუცხადა თავისი სურვილი და თან შემწეობაც აღუთქვა. მაგრამ ცაიშელებმა ნაკლებად თანაუგრძნეს ამ კეთილ წინადადებას, მაზე მეტი გავლა აქვს ჭორებსა და საძაგელ მიეთ-მოეთობას.

ეს საზოგადოება სწავლა-განათლებით სხვა სოფლებზედ უკან დგას, ნივთიერ ქონებით კი სხვაზედ ღარიბად არ არის. ნარდ-ბანქო-ცხენ-უნაგირ-არაყ-ღვინისათვის მათ მარად ეშოვებათ ფული და კეთილი საქმისათვის კი, თუ ვინმემ რამე განუცხადეთ, არა რა ეშოვებათ და ზურგი აქვთ შექცეული. ამას წინად საუცხოვო ჩვეულება ჰქონდათ ზოგიერთ აქაურს პირებს, სანამ ურთი ერთ შორის აყალ-მაყალი მოუვიდათ; ყოველ კვირა საღამოისათვის კაცის თავზედ ნახევარ-ნახევარ მან., ან კიდევ მეტს მოაგროვებდნენ. საღამოს გაშლიდენ დუქანში სუფრას და ღამის მეოთხე საათამდე ქონდათ გამართული სმა და სიმღერა. ამ კამპანიაში მონაწილეობას ყოველ წოდების პირი ღებულობდა, გარდა, რა თქმა უნდა, მ. დეკანოზისა, რომელიც შეძლებისა დაგვარად წინააღმდეგობას უწევს ყოველ უწესოებას. რა უნდა მოეთხოვოს ღატაკ და უვიცგლეხებს, როდესაც ცუდ მაგალითს ხედავენ „მოწინავე პირებისაგან". ან და ერთმა კეთილმა პირმა რა უნდა გააწყოს.

ვუსურვებ მამა მიხეილს მის სურვილის განხორციელებას და ცაიშელების გაღვიძებას.

— მოსავალი. ჭირნახული ამ წელში ზედ მეტი წვიმების გამო, მეტადრე დაბალ საყანე ადგილებში, გაფუჭებულია და არც არავინ მოელის თავის ნაშრომს საკმაოდ.

— ჯანმრთელობა. ციებ-ცხელება და სხვა სნეულებაც ხშირია, მაგრამ „ხარაზ-ექიმბაში" კარგ „ბატონის" წყალობით კარგი ჰყავთ ცაიშელებს და რა უშავთ! ფული კი ბლომათ მისცენ და თუ არ მორჩებიან, ხომ მოკვდებიან!

კოლონა

*** **ს. უჩაშონი.** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ ზუგდიდის ქალაქში მოვაჭრეს კონსტანტინე ქუჩულას ძე მაქაცარიას, რომელმაც ჩემდამო რწმუნებულს ეკკლესიას შემოსწირა ერთი წყვილი გვირგვინი, ღირებული თორმეტ მანეთათ, ვისურვებთ, რომ სხვებსაც მიებაძოს ხსენებული შემომწირველის კეთილი მაგალითისათვის.

უჩაშონის წმ. გიორგის ეკკლესიის შტატის მღვდელი ბესარიონ როკავა

*** **გურია.** ჯუმათის იარმუკა. ჯუმათის იარმუკობა იწყება 12 სექტემბრიდან. წინა წლებში იარმუკაზე საშინელი უწესოება სუფევდა ხოლმე. სადაც ხალხი და ვაჭრები დგებოდნენ, იქვე იყიდებოდა თხის, ცხვრის ფარა და სხვა შინაური პირუტყვები. ერთი სიტყვით, კაცი, ცხვარი, თხა და სოფლიდან ამოტანილი გიდელ-გოდორი ერთმანეთში ირეოდა. აქ ხალხის უმეტესობა მოდის იმისთვის, რომ ისარგებლოს ცოტა ხნობით მაინც აქაური სალის ჰაერით, მაგრამ პირუტყვებისაგან აშმორებული სუნი მათ გულს უწუხებდა. წელს-კი იარმუკას სხვა ელფერი დაეტყო. სოფლის სანიტარის და მამასახლისის წყალობით იარმუკას ასცილდა ისეთი სიბინძურე და უთავბოლობა. ამათის განკარგულებით პირუტყვების გასასყიდად არჩეულ იქმნა იარმუკის მახლობლად 80 საჟენის სიშორეზე უფრო მარჯვე ადგილი, სადაც მირეკეს თხა-ცხვარი. ეს წეს-რიგი აქ სუფევდა იმ დროსაც, როცა იარმუკას მონასტერი განაგებდა, მაგრამ რა იარმუკა ხაზინის ხელში გადავიდა, მას ყურადღებაც მოაკლდა; შინაური პირუტყვები თანდათან დაუახლოვეს იარმუკას და ცხრაათი წლის შემდეგ სულ შემოუერთეს ხალხს. ეხლა თუმცა ერთმა შემამულეთაგან გამოგზავნილმა მოურავმა წინააღმდეგობაც გაუწია სანიტარებს და მამასახლისს პირუტყვების იარმუკიდან გარეკაზე, მაგრამ აბა რას გააწყობდა...

არღნების ხმა და მოქეიფეების ურა სიმღერა თუმცა-და იყო, მაგრამ ხანჯალ-რევოლვერის ტრიალი და აყალ-მაყალი-კი არ ყოფილა. კარგი ამინდების წყალობით მოვაჭრენი დღისით ვაჭრობდნენ, ხოლო ღამის ათ საათამდის ცეკვა-სიმღერაში ატარებდნენ დროს. ხარაზებმა გამოიგონეს ერთნაირი თამაში: „სოფლის მოხელეთა ამორჩევა და მათი მოქმედება" და ბევრი აცინეს მაყურებლები. ბანქოს თამაშიც იყო აქ, მაგრამ ფარულად.

ბ-ნმა მაზრის უფროსმა დაავალა, ვისიც ჯერ იყო, გაეკეთებიათ ოზურგეთიდან და ლანჩხუთიდან ამოსავალი გზები; ერთმა გზის მეთვალყურემ, რაღაც მანქანებით, სოფლიდან გამოწვეული სამოცი მუშა კაცი ერთი კვირის განმავლობაში ამუშავა სულ კერძო და ყრუ-მივარდნილ გზაზე, უმთავრესი საჭირო გზები-კი უნუგეშოდ დასტოვა. აქაური სასულიერო პირნი და მოქალაქენი, რომლებიც შიგ სოფელში დგანან, გზების გაკეთებაზე სრულებითაც არ ზრუნავენ, ისიც ვერ მოუფიქრებიათ, რომ თავიანთ ჭისკრებთან ტალახი ამოევსოთ. დროა, გამოიფხიზლონ და გაიგონ სოფლის ავ-კარგიანობა. სასურველია მათ მიჰბაძონ „ბესარიონ-დიაკონს", რომელიც სხვებზე ნაკლები კაცი არ არის, მაგრამ თავისი ხელით გაასწორა ჯუმათის მიხვეულ-მოხვეული გზები.

ს ლაშისპირელი

*** **ს. აბაშა** (სამეგრელო). ახალი ბოქაული. ახალი ბოქაულის ბ-ნ თოფურიძის მოსვლისთანავე თავისუფლად ამოვისუნთქეთ. მის საბოქაულოს დაედვა სულ სხვა ფერი; მან მოსვლასთანავე ყურადღება მიაქცია გზების უვარგისობას და მაშინვე შეუდგა მათ შეკეთებას. ამით მას არ შეუწუხებია ხალხი, გზების კეთება დაიწყო მაშინ, როდესაც საზოგადოთ ხალხი ყოველივე საოჯახო მუშაობიდან თავისუფალია. დ. აბაშაში რკინის გზის სადგური ჩაფლული იყო ტალახში და ლაფებში; ერთი ქუჩიდან ვერ გადახვიდოდი მეორე ქუჩაზე ისე, რომ მუხლებამდე ტალახში არ ჩაფლულიყავით. მე თითონ რამდენჯერმე მინახავს ჩემის თვალით, რომ სიმინდით დატვირთული ურემი და მგზავრებით სავსე ეტლი შუა ბაზარში ჩაფლულა ტალახში და დიდის დავიდარაბით ამოუთრევიათ. მაგრამ დღეს სულ სხვა სახე მიიღო აბაშამ. ახალმა ბოქაულმა დაათვალიერა თუ არა ბაზრის ქუჩები, იმ წამსვე დაიბარა მაზრის მოხელენი და უბრძანა: — გინდათ თუ არა, ამ წამ-ვე შეუდექით ქუჩების შეკეთებასო. მოგეცათ სიცოცხლე, მეორე დღესვე შეუდგნენ ქვიშა-ხრეშის ზიდვას და ქუჩების შეკეთებას. შიგ ბაზარში მშვენიერი წესიერებაა, რაიცა მოვაჭრეთათვის და ახლო-მახლო მცხოვრებთათვის დიდათ სასარგებლო და სასიამოვნოა.

— ქურდობის მოსპობა. გარდა ამისა ბ-ნმა ბოქაულმა ქურდობის და ძარცვა-გლეჯის მოსასპობადაც მიიღო ზომები. თითო საზოგადოებაში მან აირჩია თორმეტი კაცი, რომელთაც ჰქვიათ დამცველები. ამ დამცველებს დაავალეს დაცვა საზოგადოებისა, თვალ-ყურის დევნება ქურდისა, მავნე და უსაქმოთ მოხეტიალე კაცებისა, მონახვა ნაქურდალ საქონლისა, ან თვით ქურდისა. თუ დამცველებმა ნაქურდალი ვერ აღმოაჩინეს, თვითონ უნდა გადიხადონ საქონლის ფასი. მართლაც უებარ იარაღად გამოდგა ეს ზომა ქურდობის წინააღმდეგ. დამცველებმა გამართეს საუმჯობესო ალაგებში საყარაულოგ-

ბი და იწყეს ყოველღამე ყარაულობა. ისინი ყოველ-ღამე დაივლიან ხოლმე მისდამი მიჩენილს კუთხეს სოფლისას და თვალ-ყურს ადევნებენ ყველაფერს. აი ასეთი დარაჯობის შემოღების შემდეგ ჩვენში აღარ ხდება ქურდობა და თუ მოხდა, ქურდს ჩქარა იპოვნიან. აი მაგალითიც: ჩვენს სოფელში ერთ ქვრივ დედაკაცს ვენახიდან მოჰპარეს ყურძენი, მაგრამ ქურდს მტევნობით-კი არ უპარავს ყურძენი, არამედ კალათებით. საბრალო ქვრივმა ბევრი ეძება ქურდი, მაგრამ ვერას გახდა და მიჰმართა ხვეწნით დამცველებს, რომელთაც ქურდი მაშინვე აღმოაჩინეს. ამასთან ჩვენი ბოქაულიც არ არის ღამე მოსვენებული. შებინდდება თუ არა, მოაჯდება ცხენს და დადის სოფელ-სოფელ იმ საშიშ ადგილებში, სადაც დღისითაც კი სძარცვავენ მგზავრებს. ამის წყალობით ახლა ღამითაც კი შეგვიძლია მგზავრობა სრულიად უშიშრად. ერთი სიტყვით, ხალხმა ბ. თოფურიძის მეოხებით ძლივს მოისვენა ქურდ-ბაცაცებისაგან და თავისუფალ ძილს ეღირსა.

რ. ჭ

*** **სამურზაყანო.** მადნის წარმოების საქმე. სექტემბრის დამლევს, დ. ოქუმში ჩამოვიდნენ: ოდესელი მილიონერი გალპერნი, გეოლოგი როსბერგი, ინჟენერი ცეიტლინი და შტეიგერი მარტინოვი დასათვალიერებლად იმ ადგილისა, სადაც აღმოჩნდა ტყვიავერცხლის მადანი (ს. ოქუმში). ბ. გალპერნს განუზრახავს ააშენოს ს. ოქუმში ქარხანა და გაიყვანოს ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა ოქუმიდან ს. გუდავაში (ზღვის პირად), სადაც მშვენიერი ყურე იმყოფება. იმის ანგარიშით მადანი წელიწადში მილიონ ფუთზედ მეტი უნდა იქნეს გატანილი აქედან.

ეს გარემოება და მეტადრე გზის გაყვანა გუდავაში, ძლიერ სასიხარულოა სამურზაყანოელთათვის, რადგანაც ოჩამჩირის გზამ ყველას მოაძულა თავი თავისი უვარგისობით.

ვისურვებთ, რომ განზრახვა ბ. გილპერნისა მალე იქმნეს აღსრულებაში მოყვანილი.

ს—ტი.

*** **დ. ხონი.** ნოქრების გაჭირვება. არ იქნა, გაზეთში წერამ ვერ გასჭრა და ვერ დააკეტინა ჩვენს ვაჭრებს მაღაზიები კვირა-უქმე დღეებში. ჩვენთვის არც კვირაა, არც უქმე, არც შობა, არც აღდგომა და არც ახალ წელიწადი. რომელი ურიაა, რომ არ ინახავს თავის რჯულს შაფათობით, მას დუქნები არამც თუ საათობით, არამედ მთელი დღე დაკეტილი აქვს. ჩვენები კი წირვის გამოსვლამდისაც არა კეტვენ მაღაზიებს, თუმცა ვალდებულნი არიან მთელი კვირა-უქმე დღის მუშაობაში დაკეტილი ჰქონდეთ, გარდა ექვსი საათისა ნაშუადღევიდან. დროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ბოქაულმა და ვაჭრებს დააკეტინოს დუქნები

ნოქართაგანი

# თეატრის მატიანე

**ს. ჭიათურა.** 4 ოქტომბერს, აქ წარმოდგენა გამართეს ქუთაისის დრამ. დასის მსახიობთ: ბ. ვ. ბალანჩივაძემ, ქ-ნ გვეტაძისამ, ბბ. გ. ჩარკვიანმა, ა. ტყეშელაშვილმა და ბ. ქუჯმა. წარმოდგენილ იქმნა პირველად 4 მოქ. კოტე მესხის დრამა „თამარ-ბატონიშვილი“, მეორედ 5 მოქ. ერისთავის დრამიდან „სამშობლო“ და მესამედ „გულ-მავიწყი“ ვოდ. ა. ტყეშელაშვილისა, დასასრულ დივერტისმენტი. ლაშა გიორგის როლს თამაშობდა ბ. ჩარკვიანი, ელიზბარ ერისთავისას ბ. ქუჯი, შალვასას ბ-ნი ბალანჩივაძე და საპატიმროს მცველისას ბ. ტყეშელაშვილი. „სამშობლოში“ ლევან ხიმშიაშვილის როლს ასრულებდა ბ. ბალანჩივაძე, და ქეთევანისას ქ-ნი გვეტაძისა. „გულ-მავიწყში“, ზვიაგინის როლს ბ. ქუჯი, კატასას ქ-ნი გვეტაძისა, შჩუროვისას ბალანჩივაძე, ნიკოსას ტყეშელაშვილი. დივერტისმენტში ბ. ქუჯმა წაიკითხა ორი ლექსი ი. ჭავჭავაძისა, ბალანჩივაძემ იმედული სცენები და ჩარკვიანმა „დედის-ერთა შვილი“. ხსენებული სამი პიესა აქ პირველად იქმნა დადგმული და წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. განსაკუთრებით „თამარ ბატონიშვილმა“ და „სამშობლომ“ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე. ამ პიესების წარმოდგენის დროს არც ერთს მაყურებელთაგანს პირზე ღიმილი არ მოსვლია და ყველას ცრემლები სცვიოდა, მაგრამ სამაგიეროდ „გულ-მავიწყმა“ კი დიდი სიცილი გამოიწვია.

წარმოდგენას ძალიან შეუშალა ხელი გამუდმებულმა წვიმებმა, რის გამოც უმეტესი ნაწილი ხალხისა ვერ მოვიდა თეატრის დარბაზში, მაგრამ საზოგადოება მაინც საკმაოდ დაესწრო მთელი ჭიათურის საზოგადოებისაგან დიდი მადლობის ღირსია ბ. ბალანჩივაძე და ქუჯი რადგან მათ ჩვენი შავი ჭიათურა არ გამოგვარჩიეს სხვა ადგილებში და ჩვენც გვაჩვენეს თავიანთი ხელოვნება. იმედი გვაქვს არც მომავლისათვის დაგვტოვებს ბ. ბალანჩივაძე უყურადღებოდ და როგორც თვითონაც აღგვითქვა მომავალ წელს გვესტუმრება.

ა—რე ხაბულიანი

### ყურმოკრული საუბარი

— მხიარულად გაატარეთ დღესასწაული?

— გმადლობთ, ძალიან მხიარულად, ცოლმა გამიმართა სცენა...

— რა ბედნიერი ყოფილხართ? თეატრში სიარული აღარ მოგინდებათ?

— რა უფრო გრძელია ქალის თმაზე?

— იმისავე ენა!

### ამორჩეული აზრები

საჭიროა დამნაშავე გიყვარდეს, დამნაშავე უფრო ყველაზე ძრიელ საჭიროებს სიყვარულს.

ადამიანის გულს ორი ნახევარი აქვს: სამოთხე და ჯოჯოხეთი, იცხოვრე რომელშიაც გსურს.

ცხოვრებას რომ დააკვირდე და განსაჯო ხანგრძლივი საჭირო სიცოცხლე არ არის საკმარისია სატანჯველი გამოიარო.

ხალხს მხედველობა ზეცის მიმართ აღუპყრია და ძირს კი ქვიშას დანდობია.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ოქტომბერი

**სტამბოლი.** გემი „გოგენცოლლერნი“ დარდანელში მივიდა. ალტაცებით დაუხვდნენ.

**პეტერბურგი.** 5 ოქტომბერს, შინაგან საქმეთა მინისტრი მოუსავლობით დაზარალებულს გუბერნიებში წავიდა, რათა ადგილობრივ გაიცნოს რა მდგომარეობაშია გაჭირვებულ ხალხის შემწეობის საქმე. პირველად მინისტრი ყაზანში მივა, შემდეგ სიბირსკს და სამარას, იქიდან—უფას წავა

7 ოქტომბერი

**ვენა.** დღის სამ საათზე მიწა შეიძრა და თან გრგვინვის ხმა გაისმა.

**პარიზი.** „Matin“-ი სწერს, რომ რადგან ხმა გაისმა, ზოლა პარიზშია დეპუტატ რუვთანაო, მთავარ-ბრალმდებელმა სასამართლოს ბოქაული გაჰგზავნა იმასთან, რათა ჩაებარებინათ მისთვის განაჩენი ვერსალის ნაფიც მსაჯულთა გარდაწყვეტილებისა. გაზეთმა არ იცის მოახერხა თუ არა ბოქაულმა ამ ვალდებულების შესრულება. „Petit Journal“-ი სწერს, რომ ვერსალის სასამართლომაც ამ გვარივე განკარგულება გასცაო.

„Gabbel“-ი იუწყება, რომ საქმის გადასინჯვის სამანი განხილულ იქმნება სისხლის სამართლის პალატაში საჯაროდ ამ კვირის დამლევსაო. მთავარ-ბრალმდებელსა, მომხსენებელსა და დრეიფუსის ოჯახის ვექილს სრული თავისუფლება ექმნებათ ბოძებული საბუთების წარდგენისაო.

აქ მობრძანდნენ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა მარია პავლეს ასული.

**სტამბოლი.** ილდიზ-კიოსკში გერმანიის იმპერატრიცა წაბრძანდა პირველის ეტლით სულთანთან ერთად; იმპერატორი დიდ ვეზირ ფუად-ფაშასთან, ერთად—მეორე ეტლით. როდესაც ამალანი ერთმანეთს მიეგებნენ საუცხოვო სასახლეში, რომელიც იმპერატორისა და იმპერატრიცას აქ მობრძანების გამო აგებული, სულთანი დაბრუნდა თავის სასახლეში, სადაც იმპერატორი და იმპერატრიცა მიიღო, რომელნიც სამაგიერო დარბაზობის გარდასახდელად ჰბრძანდებოდნენ. პირველ საათზე საუზმე იყო გამართული გერმანიის საელჩოში.

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა ტევფიკმა აუწყა ოთხივე საელჩოს წარმომადგენლებს, რომ არსება თანახმა, ყოველივე პირობა დიდთა სახელმწიფოთა აღასრულოსო. მინისტრთა საბჭო ზეგ შეადგენს ოფიციალურს პასუხს პორტასას საელჩოთა მიმართ. იუწყებიან, რომ ოთხშაბათიდან დაიწყება კრიტიდან ოსმალეთის ჯარის გაყვანაო.

# განცხადებანი

აღმასრულებელი კომისია, რომელსაც ტფილისის ცხენის რკინის გზის გამოსყიდვა და წარმოება აქვს მინდობილი, იწვევს იმათ, ვისაც ჰსურს ამ რკინის გზაზე იმსახუროს, შეიტანონ კომისიაში ამის შესახებ განცხადება 15 ოქტომბრამდე, ამასთან უპირატესობა მიეცემა იმათ, ვისაც წინად ამ ცხენის რკინის გზაზე უმსახურია.

15 ოქტომბრიდან კომისია თხოვნებს აღარ მიიღებს და მოსამსახურეთა რიცხვი შევსებულ იქმნება იმ კანდიდატებთაგან, რომელნიც კომისიასა ჰყავს აღნიშნული. განცხადებებს მიიღებს გამგეობის წევრი ვერმიშევი აღმაშენებელს განყოფილებაში. (3—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 8 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ჯუნიასი). რედაქტორ-გამომცემელი ვ. ბუნია